

# შინაური საქმეები

№ 18.

კვირა, 9 მაისი, 1910 წ.

ადრესი: ქუთაისი „შინაური საქმეების“ რედაქცია

სოციალ-დემოკრატიული გაზეთი.

**შინაარსი:** ქუთაისი 9 მაისი.—ხელისა; სახარება და მეცნიერება.—მღ. იოანე ლუკიანოვისა; სიკვდილი მართლისა.—არხ. ნესტორისა; ქართული ცალკობა.—მღ. რ. ხუნდაძისა; უფლის ჯვარის ლურსმნები.—არხ. ნესტორისა; ძველი მოწმობა ქრისტეს გარეგან შეხედულებაზე.—არხ. ნესტორისა; კეთილი

საქმე მტრებსაც მეგობრებად ხდის.—მღ. მონაზონი ილარიონისა შფოთიანი სახლი კოიმბრაში.—არქ. ლესი ნიგოეთი (შორაპნის მარტა)—ახალი მასწავლებლისა; ნარკვევი.—ტ. ჯ. ბატონ დიმიტრას მამიდაშვილს.—ეპისკოპოსი დაეთისა;

**სოციალ-დემოკრატიული გაზეთი**

**„შინაურ საქმეებზე“**

ხელის მოწერას მიიღებს რედაქციაში, ქ. ქუთაისში (საბურთაქედ—კახაკოვის შესახვევში № 17) და თბილისში გამომცემელთან სომხის ბაზარში.

წლიური ფასი 4 მან. ნახ. წლით 2 მ. ღ 50 კ.

გაზეთი ღებულობს დასაბეჭდად ყოველგვარ განცხადებებს.

ქუთაისი 9 მაისი.

ამ ორი წლის წინეთ უწმიდესი სინოდი შეეკითხა სრულიად საქართველოს სამღვდლოებს, საქართველო და სასურველათ სცნობს თუ არა იგი, რომ სამღვდლო სჯული ქართულად ისწავლებოდეს სასულიერო სასწავლებლებში. არ ვიცით, რა პასუხი გასცა ამ საკითხს ქართლკახეთის სამღვდლოებამ, ხოლო რაც შეეხება იმერეთის და გურია-სამეგრელოს სამღვდლოებს, ესენი სიხარულით შეეგებნენ ამ წინადადებას და მოახსენეს სინოდს, რომ სამღვდლო სჯულის ქართულად სწავლება, არათუ მხოლოდ სასულიერო სასწავლებლებში, როგორც დაბალში ისე საშუალოში, არამედ

ყველა საერო სასწავლებლებშიაც სასურველი და სასარგებლოა. ასეთ გადაწყვეტილების მიღებისათვის აიძულა ხსენებული სამღვდლოება, არა პატრიოტულმა და სეპარატისტულმა გრძნობებმა, არამედ თვით ხალხის სულიერმა სარგებლობამ, მართლმადიდებელი სარწმუნოების იდეამ და აღორძინების სურვილმა და მოთხოვნებმა. ქართველი სამღვდლოება ყოველთვის შორს უდგა პოლიტიკანობას და სეპარატისტულ აზრებს, რომელსაც (უკანასკნელს) საერო წოდებაშიდაც არ უჭირავს ფართო წიაღი. იგი ყოველთვის თავის მოქმედებაში ხელმძღვანელობდა სარწმუნოებრივ-მართლმადიდებლობითი გრძნობით და ამ სასიხარულო შემთხვევაშიაც არ უღალატია თავის მისწრაფებისათვის და სიხარულით და აღტაცებით გამოეხმაურა სინოდის შეკითხვას და მისცა მაზე ის პასუხი, რომლისაც მხოლოდ მიცემა შეიძლებოდა, და რომლის სარგებლობაში თვით სინოდსაც დარწმუნებული იყო.

ქართველი სამღვდლოება და ხალხიც ყოველთვის ამჩნევდა, რომ საღვთო სჯულის რუსულად სწავლება ძირს უთხრიდა სამშობლო ღვთისმეტყველებას, უკარკავდა ენას და ამუნჯებდა სამღვდლოებას, უსპობდა მწიგნობრობას, ერთი სიტყვით სპობდა მღვდელსა და ერს შორის ცხოველ დამოკიდულებას, მაგრამ მეტი ხათრით და მორიდებით სინოდის წინა-



შევერ გაგებდნა თვით აღძრა საკითხს საღმთო სჯულის და საეკლესიო წინტიბიკონგალობის ქართულად სწავლებისა. თუკია რუსები დარწმუნებულნი არიან, რომ „სინუმე თანხმობის ნიშანია“, მაგრამ დავარწმუნებთ რუსეთის ეკლესიის უმაღლეს წარმომადგენელთ, რომ ამ ანდაზას ხსენებულ შემთხვევაში ნიადაგი არ ჰქონია. სინუმე აქ უფრო უძღურების და შიშის ნიშანი იყო და არის, და არ კი ამ ცოტა ხნის წინეთ, საზოგადო მოძრაობით გათამამებულმა საქართველოს სამღვდულოებამ გად აქარბა და დაკარგული ავტოკეფალობას აღდგენა მოინდოვა, რაც გამოიწვია არა სამღვდულოების და საზოგადოების სებარატიულმა მისწრაფებამ არამედ უალაგო, უსარგებლო და პირდაპირ მავნებელმა მალდატანებამ სარწმუნოების საქმეში? აქაჲდის სულ უბრალო საგანზედაც კი კრინტს ვერ სძრავდა საბრალო დამფრახალი და დაქსაქსული საქართველოს სამღვდულოება. რამდენად ეწინააღმდეგებენ ჩვენ მალაღ და დაბალ სამღვდულოებას უწ. სინოდის, ამას მრავალი მაგალითები ამტკიცებს. მაგრამ რა უკიდურესობამი იყო მიხული ეს შიში და კრძალულება, სჩანს იქიდგან, რომ იმერეთის სამღვდულოებას ერთერთმა კრებამ ეპისკოპოზთაურთ უარჲყო ერთი მაზრის მეთვალყურის წინადადება, რომ კრებას შუამდგომლობა აღძრა უწმიდეს სინოდთან შესახებ სამღვთო სჯულის ქართულად სწავლებისა სამრევლო სკოლებში. თუ ამ მცირე, მაგრამ სამართლიანმა და ყოველი მხრით სასარგებლო სათხოვარმა ასეთი მოჩიდება გამოიწვია მთელი სამღვდულოების წარმომადგენელთა შორის, რაღა უნდა ითქვას შესახებ იმ საკითხისა, რომელიც თვით უწმიდესმა სინოდმა კეთილინება და წინადაუდვა სამღვდულოებას? უნდა ვიფიქროთ, რომ სამღვდულოება ამ კეთილ სამღვთო სურვილსაც ისე ჩაიკლავდა გულში, როგორც სხვა მრავალი ასეთი და ამაზე უკეთესი აზრები და გრძნობები ჩაუკლავს, რომლების განხორციელება ერთნაირად სასარგებლო იქნებოდა როგორც რუსეთის, ისე საქართველოს ეკლესიისათვისაც.

რადგან უწმიდესმა სინოდმა კეთილინება და თვით რამოდენიმეთ არის მიიწი სასარგებლოდ აღიარა და წინადაუდვა სამღვდულოებას ეს ხსენებული საკითხი, არაფის ექვიარ ჰქონდა რომ რეფორმა შესახებ სამღვთო სჯულის ქართულად სწავლებისა დაუუხებლივ განხორციელდებოდა, რაკი სინოდა შეკითხულ სამღვდულოებისაგან დასტურს მიიღებდა. მაგრამ როგორც სჩანს ამ საკითხმა ჯერ კიდევ დიდი სატანჯველი უნდა გაიაროს, სანამ თავის უკანასკნელ გადაწყვეტლებას მიახწევდეს. სინოდმა ვერ სცნო შესაძლებელად ამ საკითხის სასურველად დაბოლოება იმ მიზეზით, რომ ქართულ ენაზე არ მოიპოება საჭირო სახელმძღვანელოები. არ ვიცით რამდენათ გულწრფელია უწ. სინოდის ასეთი პასუხი, მაგრამ ჩვენ კი ვფიქრობთ, რომ ესეთი პასუხი მხოლოდ საკითხის მიფუჩეჩებაა, რომელიც არაფის არგებს, არც რუსეთის და არც საქართველოს ეკლესიას; ორივეს კი ავენებს, რადგან უძვირფესესი შემაერთებელი კავშირი ამ ორ ეკლესიათა—მართლმადიდებლობა, საბოლოოდ დაეცემა საქართველოში და შემდეგ ვინ იცის, გზა-დაბნეული ხალხი რას წააწყდება.

სრულიად მართალი უწინაა, რომ ჩვენ სახელმძღვანელოები არა გვაქვს, მაგრამ გვაქვს, ღრმა და მდიდარი ენა, გვყვანან მკოდნე უმაღლეს სამღვთომეტყველების კურსდამთავრებული პირები, რომელთა მეოხებით რამოდენიმე თვის განმავლობაში შეგვიძლია მთელი ხალხისმეტყველო სახელმძღვანელოები გავიზინოთ. და შემდეგ ცოცხლის განმავლობაში დამხმარებელი წიგნებიც.

სახელმძღვანელოების გაჩენა მოთხოვნილობაზეა დამოკიდებული. გვექნება ეს მოთხოვნილება, გავვიჩინებთ საჭირო სახელმძღვანელოებიც, არა და-არა — რომ ყველგან რუსეთის უმაღლეს და უმდაბლეს სასწავლებლებში სწავლება ფრანგულ ენაზე სწარმოებდეს, დარწმუნებული ვართ, რუსულ ენაზე ერთი სახელმძღვანელოც არ იქნება და რათ უკვირს ვინმეს, რომ ჩვენ სახელმძღვანელოები არ გვექნა. მოგვეცით ნება ჩვენ ენაზე ვისწავ-

ლოთ და მაშინ ნახავთ, როგორი სახელმძღვანელოები გაგვიჩნდება. რუსული სახელმძღვანელოები განა ბერძნულიდან და სხვა ენებიდან ნათარგმნი, ან მათი მიხედვით შედგენილი არ არიან? რა დავვიშლის, რომ ჩვენც ასე მოვიქცეთ?

თუ დასაწყისა არ იქნა დასასრული საიდგან ვაჩნდება. თუ მაღალი კლასების სახელმძღვანელო არ გაგვაჩნია დაბალის ხომ მაინც გვაქვს. სინოდს ესლავე შეეძლო შემოეღო სამღვთო სჯულის ქართულად სწავლება სასულიერო სასწავლებელში, რადგან ამის შესაფერი სახელმძღვანელოები ხელთა გვაქვს. ოთხკლასიან სასულიერო სასწავლებლის პროგრამას შეადგენს ძველი და ახალი აღთქმა, საღვთო მსახურება და კატეხისმო. ეს სახელმძღვანელოები ჩვენ ყველა გვაქვს, თუ არ მივიღებთ მხედველობაში, რომ კონტორის გამოცემული კატეხისმო ძლიერ მიძიმედ, გაუგებრად და რუსული ენის კონსტრუქციის უაღრესად ნათარგმნი. მაგრამ ამ ნაკლავს მასწავლებელი შეასრულებდა, თუ უკანასკნელი თავის ჯამში იქნებოდა.

მაგრამ ვსთქვათ, სულ არა გვაქვს არავითარ სახელმძღვანელო. მერზე ვინ არის ვალდებული, რომ ეს სახელმძღვანელო შექმნას, გააჩინოს? ნუთუ იგივე სინოდი არ უნდა ზრუნავდეს ამის შესახებ, როგორც უმაღლესი სასულიერო მართებლობა, რომელიც მოწოდებულია დამწყასოს მართლმადიდებელი ეკლესია? განა იგივე სინოდი არ ზრუნავს იაპონიისათვის შექმნას იაპონურ ენაზე საღვთისმეტყველო ლიტერატურა, ან, შორს რომ არ წავიდეთ, ოსურდა აფხაზურ ენაზე ოსთა და აფხაზთათვის? სამღვთო წიგნების აფხაზურ ენაზე გადასათარგმნათ მთელი კომისია არის დაარსებული და განა რა დააშავა მართლმადიდებელმა ქართველებმა, რომ მას საქირო სახელმძღვანელო წიგნები არ ეთარგმნება იმავე სინოდის დაარსებულ კომისიის მიერ? თუ რამ ნაკლი გვემჩნევა შეგვივსეთ. უფროსიც მიტომ ბრძანდებით, რომ უნცროსს უწინაძღვროთ და რაც თითონ არა აქვს ან არ ესმის შესძინოთ. თუ ასე არ მოხდა და, ვის აქვს

შეძლება მუქთად იმუშაოს და იმედიც არ ჰქონდეს, რომ მისი ნამუშევარი ოდესმე ბაზარს იპოვის და მის შრომას ნახევრად მაინც დააკმაყოფილებს. მაგრამ ქართველი სამღვდლოება მაინც ყოველ ღონეს იხმარდა, ყოველ ხარჯს იტვირთებდა, ყოველ შრომას აიღებდა, რომ სინოდს ერთი სიტყვით მაინც წამოსცდენოდა, რომ ქართულად სამღვთო წერილის სწავლება შეწყნარებულ იქნება, თუ სამღვდლოება სახელმძღვანელოებს გაიჩენსო. მაგრამ ესეც არ არის. საკითხი ისევ ძველ კალაპოტში რჩება, მართლმადიდებლობის საქმე კი უარ და უარ მიდის: სამღვდლოება მუნჯდება, სარწმუნოების მტრები იზრდებიან, ზნეობა ეცემა.

იმერეთის სამღვდლოების უკანასკნელმა კრებამ ფიზიკად შეხედა დასმულ საკითხს, მას არ უნდა უკან დაიხიოს იმ დიდებული რეფორმის წინაშე, რომელსაც უთუოდ თან მოჰყვება მართლმადიდებელი სარწმუნოების განმტკიცება ხალხში. ამიტომ იგი შემდეგ კრებაზე ხელახალ შუამდგომლობით ფიქრობს შევიდეს უწმიდეს სინოდში. ამიტომ სასურველია, რომ ამ საკითხის შესახებ თავის აზრი გამოსთქვას ყველამ, ვისაც ასე თუ ისე აინტერესებს სარწმუნოების საქმე. კარგი იქნება, რომ ამ საგანზე ბასმა იწარმოვოს „შინაური საქმეების“ ფურცლებზე.

ხელი.

## სახსრება და მიხედობა.

„მრწამს მე, ვითარმედ არც ასიკვდილმან, არცა ცხოვრებამან, არცა ანგელოსთა, არცა მთავრობათა არცა ძალთა, არცა ამან სოფელმან, არცა მან სოფელმან, არცა სიმაღლეთა, არცა სიღრმეთა, არცა სხვამან დაბადებულმან (მცნოერებამ) შემოდლოს ჩვენ განყენებად“

სიყვარულსა ღვთისასა, რომელ არს ქრისტე იესოს მიერ, უფლისა ჩვენი. (რომაელთა, 8, 39-40).

„უმაღლესი ბედნიერება მოაზრე ადამიანისათვის არის მისახვედრის მიხედობა, ხოლო მიუწოდომელის მშვიდობიანად პატივის ცემა.“—(გიოტი.).

სახარების და შეცნიერების ერთმანეთთან დამოკიდებულობა ძველი საკითხია. ათასჯერ დაუჭირებულა ამაზე მოწიწებული აზრი ქრისტიანისა და ცივი-გამომძიებელი გონება „ამა ქვეყნის“ ბრძენისა. იგი დიდად საინტერესო და ღრმად-მნიშვნელოვანი საკითხია.

არის შეხედულობა, რომ ვითომ სახარება „უარყოფს“ მეცნიერებას, როგორც თავის პირდაპირ მოწინააღმდეგეს... ამბობენ: „სახარება ზეცაა, ხოლო მეცნიერება—ქვეყანა“...

ძნელათ თუ!.. უფალი ჩვენი იესო ქრისტე მოვიდა ქვეყანად და ქვეყნისათვის, რათა გარდაქმნას იგი „ხატად და მსგავსად ზეცისა“... „მამაო ჩვენო,—ლოცულობენ მუდამ დღე მორწმუნენი,—მოვიდეს სუფევა შენი იყვეს ნება შენი, როგორც ზეცაზე, ისე ქვეყანაზე!“... ლოცვაში, ზეციურის თხოვნის გარდა, ქრისტემ არ დაივიწყა ქვეყნიურიც მისი არსებითი მოთხოვნილებებით.—„პური ჩვენი არსობისა მოგვეც ჩვენ დღეს“...

მეცნიერება, მაშასადამე, სასარგებლო და საპიროა, როგორც საშვალება დასაკმაყოფილებლად ხორციელ ცხოვრების არსებით მოთხოვნილებათა, —მაშინ, როდესაც სარწმუნოება თუმცა არ ერიდება ქვეყანას, მიწას („მთელი ქვეყანა ბოროტებაში სძევს“, მაგრამ თვით ქვეყანა ბოროტება არ არის), მაგრამ მომეტებულ ნაწილად და განსაკუთრებით ეხება კაცის სულიერ არსებას. ნამდვილი თავის არსებითი დასკვნებში, გონივრულად თავ-დაჰერილი მეცნიერება, რომელიც ადამიანის მისაწვდომ გამოკვლევის საზღვრებში მოქმედობს, რომელიც მსუბუქად არა ჰყვება ზოგიერთ სწავლულ ადამიანთა სადაო გიპოტეზებს (ლაპლასი, გიგელი, დარვინი), —ყოვე-

ლთვის იყო-გამსკვალული სარწმუნოებრივი გრძნობით (კებლერი, კანტი, ლაუჟაზიენიუტონი, მეიერი, გალილეი, რანკე, ფლამმარიონი), ეს ბუმბერაზები ცოდნისა ვერ ჰპოვებდენ ვერავითარ შინაგან წინააღმდეგობას სახარებასა და მეცრიერებას შორის და იყვნენ ღრმად მორწმუნე ადამიანები.

უმაღლეს თვის განვითარებაში—პატიოსანი, ნამდვილი-სწორი მეცნიერება ასრულებს მაღალ დანიშნულებას მით, რომ აღრმავებს და აკეთილოვანებს სარწმუნოებრივ შეხედულობს ცხოვრებაზე, და მითი ხელს-უწყობს ცხოვრების სინამდვილეში ღვთის სასუფეველის ჩქარა დამყარებას.. სახარებიდან ვიცით, რომ მაცხოვარი უკმაყოფილებას უცხადებდა თავის მოწაფეებს მაღალ და დიდებულ მოძღვრების ვერ შეგნებაზე: „ჰოი უცნობელნო და მძიმენო გულითა სარწმუნოებისათვის ყოველსა ზედა, რომელსა იტყოდეს წინასწარმეტყველნი!“—უთხრა უფალმა თავის აღდგომის შემდეგ ლუკას და კლეოპას, მიმავალთ სოფელ ემმაუსში (ლუკა. 24,25).

დარბაისელი მეცნიერება არის საფეხური რელიგიური მსოფლ-შეხედვლობისათვის. რელიგიური აზრით გამსკვალული კაცის მიერ განხილვა „პურის ნამცეცის ისტორიისა“, ან ხის აღმოცენების და ნაყოფიერების რთული საქმისა—ნიშნავს მეტჯერ ლოცვას, და მასთან მთელი გულით და სულის განსაკუთრებული ამაღლებით. მიტომ რომ ხე თითონ თავის თავად ხომ არა ჩნდება, და ისიც ასე საუცხოვო გონივრულად!.. ჩვენ პირველ დასაწყისი გრამმატიკიდანვე გვაქვს გავებული, რომ ხე „უსულო საგანია“, და არაფერს არ საზრავს!.. თვით „გონიერი და უკვდავი არსება“, ადამიანი თავის თავს თითონ ვერა ჰქმნის, არამედ უმაღლესის ნებით ჩნდება!.. უკვე დემოკრიტმა იცოდა, რომ „nil ex nihilo“ ცხოვრება ვერ განვითარდება ცხოვრების არ-ყოფნისაგან. მეცნიერება არ არის თვით-მიზანი, არამედ ერთი საშვალებათაგანია კაცის სულის განვითარებისა. ასეთივე საშუალება, თუმცა უზომოდ უმაღლესი და უძლი-

ერესა, არის რელიგია: „შაბათი კაცისათვის და არა კაცი შაბათისათვის“...

შეხედულობა კაცზე, როგორც ღვთისმსგავს არსებაზე, რომელიც მოწოდებულია დაუსრულებელ თვ-თ-განვითარება-გაუმჯობესებისთვის, ღვთის მადლის შემწეობით,— აყენებს ქრისტიანის პიროვნებას განუსაზღვრელ ზნეობრივ სიმაღლეზე. ამასთანავე შეხედულობა მეცნიერებაზე, როგორც უმიზნო სათამაშოზე, რომ მხოლოდ ახალი რამე შეიტყოს,— უზომოდ ამცირებს ადამიანს. აქ მეცნიერება ხდება არა იარაღად კაცის სულის საუკეთესო ძალების განვითარებისა, არამედ საშუალებად კერძო ჟინის დაკმაყოფილებისა, უბრალო კერძო სიამოვნებისა. მაშ საკვირველი არ არის, რომ ასეთი „მეცნიერება“ „დასცინოდეს“ ღვთიურ წმიდა ჭეშმარიტებას (საქმე წმ. მოციქ. 17, 32), და ვერ ამჩნევდეს, რომ ამით უნებლიეთ ხელს აწერს თავის საკუთარ არარაობაზე და უძლურებაზე!..

როგორც ძველად, ისე ჩვენ დროშიაც ამცირებენ რელიგიას (თუ-კი შეუძლიათ დამტირება ბუზებს ვეერესტისა) მხოლოდ ის „ნასწავლები“, რომლებიც ვერ გასცილებიან „მეცნიერების დასაწყისს“ და ვერც წავლენ, რადგანაც არა აქვსთ საკმარისი სიღრმე და საფუძვლიანობა აზროვნებისა...

სამწუხაროდ, ასეთ „ნასწავლები“ კვალზე მიდის დიდი ნაწილი, ჯერეთ არ განმტკიცებული მეცნიერულ ცოდნაში, ახალგაზდობისა და რამოდენიმე ნაწილი ინტელიგენციისა, რომელიც ყველაფერს უცქერის თავის საკუთარი ღვთისმეტყველური უვიცობის და უმწიფობის თვალთ-საზრდით.

გატაცება გარეგნული ცოდნით, ჩაუფიქრებლად მის „წმიდათა წმიდათაში“, მოგვაგონებს ეკატრინე მეორეს დროს ჩვენი წინაპრების გატაცებას დასავლეთის ბრწყინვალე გარეგნული კულტურით მისი შინაარსის პირდაპირი ზიანით. ურწმუნოება ყოველთვიე არის ნიშანი უკულტურობისა. ხომ ცხადია ის, რომ ზეციური ჭეშმარიტება იმდენად

უფრო ძვირფასია გარეგნულ ქვეყნიურ ცოდნაზე, რამდენათაც სული ძვირფასია ხორცზე, რომ ჩვენი ქვეყნიური მეცნიერებანი ემსახურებიან მხოლოდ „მიწიურ სარგებლობას“; და არ შეუძლიანთ ამაღლდნენ „ზეცის დაპყრობამდის“... რა შესაფერისად ამბობს მათზე სიტყვა ღვთისაი— „რამეთუ იცოდეს ღმერთი, და არა ღვთაებრ აღიდებდეს მის, გინა ჰმადლობდეს, არამედ ამო იქმნეს გულის-ზრახვითა მათითა, და დაუბნელდა უგულის-ხმო იგი გული მათი“ (რომაელთა, 1, 21-22).

რატომ ქრისტე მაცხოვარი არ იყო ნასწავლი და არაფერს არ ამბობდა მეცნიერებაზე და მის მიზნებზე?

ამაში—მთელი უფსკრულია განუსაზღვრელი სიყვარულისა და პატივისცემისა შემოქმედისა თავის ქმნილებასთან. ღმერთს არ უნდა, რომ დაიღუპოს ერთი ვინმე „მცირეთაგანი“. უბრალო უსწავლელი გაცილებით ბევრია რჩეულ ნასწავლებზე... ნუთუ ქრისტე მოვიდა ერთი მუქა რჩეულთათვის, და არა განურჩევლად ყველასათვის? ეს ხომ უდიდესი ეგოიზმია (განყენება ღვთის ნებისაგან); ხოლო ეგოიზმი იყო მიზეზი პირველ-ყოფილი ცოდვისა და დაამახინჯა ქვეყნიერება, აავსო იგი ადამიანთა ბოროტების და უსჯულოების სისხლიანი საშინელებებით!.. ქრისტე მოვიდა, რათა დააბრუნოს ხალხი სულიერ გარმონიასთან, თავმდაბლობასთან და უანგარო სამსახურთან მოყვასისადმი, და არა ხალხის გასაყოფად ახალ შემთხვევითი კატეგორიებზე... ხალხი გაშორდა ღმერთს ამპარტავნობით; ქრისტემ შეგვაერთა ღმერთთან თავმდაბლობით... ხალხი დაავადდა (ეშმაკის) ბოროტებით; ქრისტემ მოაჩინა იგი სიყვარულით და მოთმინებით. ხალხი დაბრმავდა უგნური მედიდურობით („იქნეთ, ვითარცა ღმერთანი“); ქრისტემ ქვეყნის მეუფემ და შემოქმედმა, აცხოვნა იგი უდიდესი თავდამცირებით, მიიღო-რა „სახე მონისა“, და დაითმინა მონური და საძრახისი სასჯელი... იმას არ შეეძლო გაეძლიერებინა ის, რის მოსარჩენათაც მოვიდა, იცოდა, რა, როგორც ღვთაებრივმა გულთა-მხილავმა,

რომ ხალხს, თავისი ცოდვითი მდგომარეობით, ყოველივე უაღრესობა ესმის არა როგორც დიდი შრომა და დიდი ზნეობრივი პასუხისმგებლობა (შვისაც თქვენში უფროსად ყოფნა უნდა, იყვეს ყველას მონა), — არამედ, — როგორც მეტი საბუთი თავის მაღლა დაყენებისათვის და დაცინვისათვის „უსწავლელი“ მოყვასისა... ცნობილია, რომ არსად მედიდურობა და თავისმოყვარეობა ისე საუცხოვო ზომამდის არ არის განვითარებული, როგორც ნასწავლ ადამიანებში!.. მეცნიერება არის უმაღლესი ხარისხი გონებითი ნიჭიერებისა; ხოლო რელიგია — ბუნებრივი მოთხოვნით განუჩივლად ყოველი ადამიანისა, ბავშვიდან დაწყებული დიდებულ ფილოსოფოსამდე. მეცნიერება ეხება ზნეობრივად-განუჩივლად კითხვებს მომეტებულ ნაწილად; უკეთეს შემთხვევაში, — მხოლოდ სასარგებლო, გამოსადეგ კითხვებს; რელიგია არის სასწავლებელი კაცის სულის თავისუფალი აღზრდისა ზეცისათვის, სასწავლებელი, რომელშიაც აღმზრდელათ არის თითონ ღმერთი... ცხადია რომ ამ ყველაზე უმათერესს და უსაქიროესს ქრისტე ასწავლიდა ხალხს, ხოლო „მიწიურ მიზნებს“ მიანდობდა მის ნებაზე. იგი ასწავალიდა: „ეძიებდით პირველად სასუფიველსა ღვთისასა და სიმათლესა მისსა, და ესე ყოველი შეგეძინოს თქვენ“ (მათ. 6, 33).

ქრისტე რომ ნასწავლი ყოფილიყო, მაშინ მის სასწავლებს მიაწერდნენ მეცნიერების ძალას და ბუნების დაფარულ საიდუმლოებათა ცოდნას. სიღარიბის, უბრალოების და სიმდაბლის ნიადაგზე ღვთაება მაცხოვრისა ბრწყინავს უმაღლესი ელფარებით, როგორც მზე ნათელ ღურჯ ცაზე გაზაფხულის დილით... ის, რომელიც ერთი სიტყვით და ხელის-შეხებით ჰკურნავდა სნეულებს, აღადგენდა მკვდართ, ვინც, როგორც ვადაშლილ წიგნზე, ისე კითხულობდა კაცის გულის საიდუმლოებას, ვინც იცოდა და ხედავდა შორს (ფილიპე ლელვის ხის ქვეშ); — ათასჯერ მომეტებულად მკოდნე და შემძლებელი იყო ყველა ნასწავლებზე მთელ ქვეყნად... ნამდვილი სიდიადე მდგომარეობს არა ერთი-ერთმანეთის საწინაა-

ღმდეგო აზრების გამოთქმაში, რაიცა შეადგენს დამახასიათებელ თვისებას ყველა „ამა ქვეყნის დიდებულთა“ (რუსსო, ნიკოე, მილლი, იბსენი და სხვანი), — არამედ წმინდა სიმათივეში, შეუცვლელ სიცხადეში და მაღლ-მოსილ მიმზიდველობაში იმისა, რაც შეადგენს „სულს ცხოვრებისას“, იმის უმაღლეს აზრს, უცვალბებელ მიზანს, — და ამ შემთხვევაში, არ ყოფილა და არ იქნება რაიმე უმაღლეს სახარებისა. ღვთიე-ნიკებულის მისი ფურცლები გასაგებია ბავშვებისთვის, მაგრამ იმავე დროს შეადგენენ დაუშრეტელ-წყაროს უმაღლესი განცხადებებისას ქვეყნის უდიდეს ნასწავლთათვისაც...

რაც უფრო ღრმად ჩაუკვირდები სახარების შინაარსს, მით მომეტებულად იგი გეჩვენება განუსაზღვრელად!.. ამის მსგავს გრძობას განიცდის კაცი, როცა დაკვირვებით უცქერის იგი ღამის ვარსკვლავებით მოქედლილ ცას. ეს რანაირი აუწერელი მშვენიერი და დიდებული სანახავია! რაღაცა არა ქვეყნიურს, მაგრამ მშობლიურ, ნახად-მოალერსე გრძობებს აღუძრავს განუსაზღვრელი ცის სიგრცეზე; საშინელი უფსკრული, უცნობი საიდუმლოები ეშლება წინ განცვიფრებულ და დატყვევებულ კაცის თვალს, და განუსაზღვრელ სასწავლთა სიღრმეში მოწიწებული გონება ჰხედავს ღმერთს!.. ეგრეა სახარებაც. რა საცოდავად და არაფრად მიაჩნია „ქვეყნიური ნახევარ-ქეშმარიტებანი“ ამა ქვეყნის ბერძენთა — იმას, ვინც ქრისტეს მაღლის შემწეობით ღრმად ეშვება ქრისტეს სწავლიე დიდ ოკეანეში, მთლად იეინთება „სახარების ატმოსფერით“, აღის მაღლა, არწივის მსგავსად, ღვთიურ წმინდა სიმაღლეებზე... ოხ, რა ბედნიერებაა ეს!..

განა შეუძლიან კაცს, რაც უნდა გენიოსი იყვეს იგი, ასეთ უბრალო, მიუწომელ-ხელოვნურ ფორმაში გამოსთქვას ასეთი ღრმა და უზომო საიდუმლონი ზეციური და ქვეყნიური!.. ქრისტეს სასწავლებზე ლაპარაკი ხომ სულ მეტია, რადგანაც ისინი ყოველივე ექვს გარეშეა, თვით სერიოზულ სწავლულთა მოწმობითაც-კი: ასეთი ცხოვრება, ლაპარაკი,

მოქმედება შეედლო მხოლოდ ღმერთს, და არა კაცს. თვით „მოსისხლე“ მტრები ქრისტიანობისა, როგორც მაგალითად რენანი, გარნაკი და შტრაუსი უწოდებენ ქრისტეს „განხორციელებულ სისრულედ, საუცხოვერთიანობად ქვეყნიურისა და ზეციურისა“.. აბა ჩაუკვირდეთ, თუ ამ სიტყვებში არ ისმის გოდება ივლიანე განდგომილისა:—„შენ გალილეველო!“..

ღიახ, სახარება—ზეცაა! მაგრამ მასთან სახარება სულია ქვეყნიერებისა. როგორც ცხოველ სხეულში სული შეადგენს გამაცოცხლებელ, ხელმძღვანელ, შიგნეულად შემაკავშირებელ, ბრძანებელ ძალას,—ეგრეთვე სახარებაც, თავის მოძღვრებით ღვთის სასუფეველზე, აძლევს ადამიანის მოქმედებას უმაღლეს, ღვთაებრივ აზრს და მნიშვნელობას და ცხოვრების თითოეულ მოვლენათაგან შეადგენს ერთ საუცხოვერთიან ქებითი გალობას, ქვეყნის გამწინისადმი აღვლენილს. „ეგრე ბრწყინავდინ ნათელი თქვენი წინაშე კაცთა, რათა იხილონ საქმენი თქვენი კეთილნი, და აღიდებდენ მამასა თქვენსა, რომელი არს ცათა შინა“..

ავღოთ, მაგალითად, საზოგადოებრივი ცხოვრება. ქრისტეს გარეშე, რომელიც არის „გზა, ქეშმარიტება და ცხოვრება“, თვითეული წევრი საზოგადოებისა არის „თვით-ნება ეგოისტი“, — და, რა თქმა უნდა, ბოლო ასეთი ერთეულებისაგან შემდგარი საზოგადოების მოქმედებისა გამოიწვევს ერთმანეთის სიმულვილს და ბრძოლის... სულ სხვა საქმეა, თუ გარეგანი და შინაგანი წარმატება საზოგადოებრივი ცხოვრებისა იმყოფება ეკლესიის მადლიან გავლენის ქვეშ, სადაც ყველანი ღვთის მომუშავენი არიან, ღვთის ყანას მუშაობენ, ღვთის შენობას აკეთებენ (ა. კორინ. 3, 9), შეადგენენ ერთ სულს და ერთ ხორცს ქრისტე იესოს-შიერ. ადვილი გასაგებია, რომ პირველ შემთხვევაში (თვით-ნება ეგოისტების საზოგადოებაში) იქნება „მხეცებრივი ბრძოლა არსებობისათვის“; ხოლო მეორეში (ქრისტეს ეკლესიაში) ერთმანეთის კეთილისმყოფლობითი შემწეობა თანახმად ღვთის

მცნებისა: „როგორც გინდათ, რომ თქვენ მოგექცეს ადამიანი, თქვენც ისე მოექციეთ მათ“..

ღმერთი არის უმაღლესი სიკეთე;—და ყოველივე ნამდვილი კეთილი სათნოა მის წინაშე. ადამიანის მოქმედების ყველა მხარეში ყოველივე კეთილი, წმინდა, სასარგებლო სულისა და ხორცისა არ ეწინააღმდეგება ღვთის ნებას. „ყოველთვის კეთილ არს ბაძვა კეთილისათვის“ (გალატ. 4, 18). „ამიერიდგან, ძმანო, რავდენი არს ქეშმარიტ, რავდენი პატიოსან, რავდენი წმიდა, რავდენი საყვარელ, რავდენი საქებელ, რავდენი სათნო და რავდენი ქებულ,—მას ჰზრახვიდეთ“ (ფილიპელთა, 4, 8).

იგავში „ტალანტებზე“ ქრისტე გვამცნებს არ დავფლათ მიწაში, ჩვენდა მოცემული ნიჭი, არამედ შევიმუშავოთ და განვაფართოოთ იგი...

უწოდებს უფალი და სიყვარულით აკურთხევს ხალხში ყოველივე იმას, რაც-კი ხელს უწყობს ღვთის სიმაართლის გამარჯვებას ცხოვრებაში, რაც-კი ხელს უწყობს ამაღლებას გონებისა, გულისა და ნებისას ცოდვითი ტალახიანი დაბლობიდან ღვთიურ წმინდა ცხოვრების ბრწყინვალე სიმაღლეებზე... აკურთხევს უფალი აგრეთვე წმინდა, კეთილ მეცნიერებას, და გონიერულ შრომას—ქვეყნის სასარგებლოს და ხელოვნებას, რომელიც ამშვენებს და ასულდგმულებს ცხოვრებას..

ქეშმარიტ რელიგიისა და ნამდვილ მეცნიერებას შორის არ არის წინააღმდეგობა; იგინი ღვიძლი დები არიან!..

მღ. ათანე ლუკიანოვა

## სიკვდილი მართლისა.

(შანტალე ზილატეს ცილის წერილი თავის მუცლად)

ბარ ქალთან)

(რუსულიდან. პირი ისტორიულ საბუთის წერილის.)

ამ სიტყვებთან ერთად მე მომეჩვენა, რომ გონებას ვკარგავ! მე ავღეჭი, ფეხ ძლივს-ძლივობით გადავადგი და გავეღი კაბეზე. იქ შეხვდით

ასისტავს, რომელიც მონაწილეობას ღებულობდა იესოს დასჯაში. ეს იყო დამსახურებული სალდათი, რომელიც გერმანელებთან და სხვა ხალხებთან ამებში გაქალაქებულ იყო. არაოდეს მეტად გამბედევილი გული არ სცემდა მეტად პტიციე მკერდში, მაგრამ ამ წუთში ის იყო აღშფოთებული და მოუთხოვრებული ტანჯვისა და სინანულისა გამო. მე მინდოდა ყველაფერი გამოკითხა, მაგრამ მან ყურადღება არ მომაქცია და თავისთვის ჩუმად იმეორებდა: — „ის, ვინც ჩვენ მოვკალით, იყო ქვეშაობადი ღვთისა!... მე შევედი დიდ დარბაზში. იქ იჯდა პილატე; პირისახე ხელებით დაეფარა, ჩემ შესვლაზე თავი ასწია და სასოწარკვეთილებით მითხრა: რატომ არ დავიფარე მე ეს ბრძენი, თუნდ საკუთარი სიცოცხლის დაღებით? ახ! რატომ არ დავიჯერე, კლავდიავ! ჩემი დაკოდილი გული ამის შემდგომ ვეღარ იგემებს მოსვენებას.“

რა პასუხი უნდა მიმეცა, როდესაც მე თითონ ჩემთვის ვერ ვბოულობდი ნუგეშს ამ უბედურობაში, რომელმაც საუკუნო დაღუპვის ბეჭედი დაგვასვა? სიჩუმეს მხოლოდ არღვევდა ქექა-ქუხილის გრიალი, რომელიც საშინლად გაისმოდა ჩვენი სასახლის თაღებ ქვეშ. ამ ელვა-ქექაში ვილაც მოხუცი მოადგა ჩვენ სასახლის კარებს, შამოიყვანეს თუ არა ჩვენთან, ის თვალ კრემლიანი დავარდა პილატეს წინ.

„ჩემი სახელი, იოსებ არიმათიელია, მე მოვედი შენთან სათხოვნელად, რომ ნება მიბოძო, იესო გარდამოეხსნა და დავასაფლაო ჩემ საკუთარ ბაღში.“ — „წაიდე!“ უპასუხა პილატემ ზეაუხედავად. მოხუცი გავიდა. მე დავინახე, რომ მას შეუერთდა ჩადრწამოსხმულ დედაკაცთა ჯგუფი, რომელიც ელოდებოდა მას კარების ფარდულში.

ასე გათავდა ეს საბედისწერო დღე. იესო დასაფლავეს გამოქვაბულ კლდეში. გამოქვაბულის შესავალში მცველები დააყენეს. მაგრამ, ფუბლია! მესამე დღეს ის განბრწყინებული დიდებით და ძლევეთ გამოცხადდა ამ საფლავზე! ის აღასდგა! აღასრულა რა თავისი წინასწარმეტყველება და

სძლია რა სიკვდილს, გამოეცხადა თავის მოწაფეებს, თავის მეგობრებს და ბოლოს მრავალრიცხოვან კრებას. ეგრე მოწმობენ მახედ მოწაფენი მისნი, — მოწმობა ესე დამტიციებულ არს მათი სისხლით, რომელიც მათ დაღვარეს უფლის იესოსთვის მთავართა და მსაჯულთა წინაშე. ყველაზე უფრო ნამდვილად მოწმობს მასხედ მისი სწავლა, რომელიც გადასცა მან რავდენიმე ტიბერიელ მეტევეზებს. ეს სწავლა უკვე მთელ იმპერიაში გავრცელდა. ეს კაცები უბრალონი, უმეტარნი, თავმდაბალნი, უტბად შეიქმნენ მკვირმეტყველნი და გამბედავი გულოვანნი. ახალი სარწმუნოება იზრდებდა, როგორც საჩრდილობელი ხე, რომელიც ოდესმე დაფარავს რომის სახელსა, სჯულსა და დიდებასა.

იმ დროიდან არაფერში წარმართება არა აქვს ჩემ ქმარს.

თავის მოქმედებაში დამნაშავედ ცნობილი სენატის და თვით ტიბერიოსის მიერ, ურიების სიძულვილის ნადავლი, საზიზღრად ქცეული მათთვის, რომელთა გულისთქმას ემსახურებოდა, იგი დღეს ატარებს საწამლაითა და ტანჯვით სავსე სიცოცხლეს! მე სრულიად განმარტოებულა დავრჩა. სალომე და სემიდა მე შიშით მიტკეროდენ, როგორც იმათ მიერ შეყვარებული უფლის მდევნელის და ჯალათის ცოლს, რადგანაც ისინი გახდენ მოწაფენი იმისა, ვინც ისინი ერთი მეორეს დაუბრუნა. მიუხედავად მათი გულკეთილობისა, მე ვხედავდი ჩემ მიახლოებების დროს იმათ პირისახეზე უნებურ თრთოლვას და მალე მივანებე თავი მათთან სიარულს. მე ჩემ მარტოობაში ღრმად ჩაუყვირდი და თანდათან შევისწავლე იესოს ზოგიერთი ზნეობრივი სწავლა, გადმოცემული სალომეს მიერ და ჩემგან დაწერილი. ოჰ! ჩემო მეგობარო! რა არის უმნიშვნელო, აღამო სიბრძნე ჩვენი ქურუმებისა ამ სწავლასთან შედარებით, რომელიც მხოლოდ ერთ ღმერთს შეეძლო ეანდერძებია ქვეყნიასთვის! ოჰ! რა ღრმა სიბრძნეა ამ სიტყვებში, რა ზომ აღსავესეა იგინი მშვიდობით და მოწყალეებით! მათი ხშირად კითხვა ჩემი ერთად ერთი ნუგეშია, რავდენიმე თვის შემდგომ პილატე



სამსახურიდან დაითხოვეს და ყოველივე უფ-  
ლება ჩამოართვეს. ჩვენ დაებრუნდით ევროპა-  
ში და ქალაქიდან ქალაქში ხეტიალის დროს  
თან ვატარებდით მთელ იმპერიაში აღმო-  
თებული და სასოწარკვეთილებით დაღლილი  
სულის მწუხარებას. მე წავყევი მას, კენსაც  
გაჰყვა თავის ცოლი. როგორც ამბობენ ურ-  
იები, მაგრამ როგორია მასთან ჩემი ცხოვრე-  
ბა! მეგობრობა, შეუღლებობრივი ნდობა ჩვენ  
შორის არ არსებობს: ის ხედავს ჩემში  
თავის დანაშაულობის ცხადად გამხსენებელ  
მოწყებს, მე ვხედავ ჩვენ შორის აღმართულ გა-  
სისხლიანებულ ჯვარის სახეს, რომელზედაც  
მან, უსამართლო მსაჯულმა, მიაკეთა უდანა-  
შაულო მართალი და ვერ ვხედავ შევხედო  
მას ჩემი თვალებით. ბგერა მისი ხმისა, რო-  
მელმაც წარმოსთქვა გახჩინება, გულს მიყი-  
ნავს, და როცა სადილ-ვახშმის შემდგომ  
ის ხელს იბანს, მე მგონია, რომ ის ხელზეზე  
წმინდა წყალს კი არ იხამს, არამედ  
მჩქეფარე აორთქლებულ სისხლს, რომლის  
კვალის აღზოცვა შეუძლებელია.

ერთხელ მე მინდოდა მომეღაპარაქნა  
მასთან სინანულზე და უზენაესის მიერ შეწყა-  
ლებაზე, მაგრამ არაოდეს არ დამავიწყდება მე  
არც მისი მხეცური შემობღვერა და არც ის  
სასოწარკვეთილებით სავსე სიტყვები, რომელ-  
ნიც წარმოსთქვა მისმა პირმა.

მომიკვდა ჩემი ვაჟი, ჩემი საყვარელი ვაჟი,  
ჩემსავე კალთაშიღ... მე არ მიგლოვნი იგი....

ბედნიერია! ის მოკვდა, ის განთავი-  
სუფლდა წყევლისაგან, რომელიც ჩვენ ყველგან  
თან გვდევს, ძან მოიშორა საშინელი ტვიითი  
თავისი მამის სახელისა. უბედურება ჩვენ  
ყველგან თან გდევს, ვინაიდგან ყველგან უკვე  
არიან ქრისტიანენი; აქ, ამ უდაბურ ქვეყანა-  
შიაც, სადაც ჩვენ ვითხოვეთ თავშესაფარი,  
ნისლიან ზღვის პირად, გაუხარელ კლდოვან  
ადგილზე, აქაც მესმის მე, რა ზიზლით წარმო-  
ითქმის ჩემი ქმრის სახელი!...

მე გავიგე კიდევ, რომ მისმა მოწაფეებმა,  
როცა ისინი მის სწავლის საქადაგებლად და  
გასავრცელებლად მიდიოდნენ და ერთმანეთს  
ვითხოვებოდნენ, დასწერეს თავისი სარწმუნოე-  
ბის განსამარტავად ეს საშინელი სიტყვები:

„ის ჯვარს ეცვა ჩვენთვის პონტოელ პილა-  
ტეს დროს“ „ოსაშინელი წყევია, რომელსაც გა-  
ნამეორებენ საუკუნეთა საუკუნენი!

მშვიდობით, ფუბლია! გებრალეობდე-  
მართლმსაჯული დმერთი შეგეწიოს და  
მოგცეს შენ ყოველი ბედნიერება, რომელიც  
ჩვენ ოდესღაც გვინდოდა ერთი მეორისათვის.

ანხ. ნესტორი.

**ქართული გალობა.**

**რამ მომარაგობაში იყო ქართული  
გალობა, წინეთ რამ გდგომარაგობა-  
შია დღეს.\*)**

ვინლა დაგვჩა გალობისთვის გულშემა-  
ტიკვარი?... 1812 წელში გადმოღმა საქარ-  
თველოში ქართველი გალობლები ეამმა გა-  
სწყვიტა და მღვდელთმთავრებმა, რაღაც თი-  
თო-ოროლა დაშთენილები მოძებნა; ზოგმა  
პარაკლიტონი იცოდა, ზოგმა მარხენის საგა-  
ლობლები; ზოგმაც სადღესასწაული გალო-  
ბები და ამ გვართ შეაკროვეს, მოუყარეს  
თავი და შეავსეს. არ დაზოგეს შრომა, საფა-  
სე და გალობა შამოაბრუნეს, არ დაკარგეს.  
ამ მეცადინეობის წყალობით ქართულ გალო-  
ბას ამ საუკუნის 70 წლაძღის ოქროს ხანა  
უდგა ჩვენში. ამას შემდეგ კი, თანდათან გა-  
ქრა და დღეს დაფუტუკვის წერტილზეა მიმ-  
დგარი. ჩვენი ერი, თუმცა გადაგვარების ხა-  
ნას განიცდის ყოველგვარ მშობლიურ საქმე-  
ში, მარა ქართველ მონასტრებს მაინც ხომ  
არ შეფერის გადაგვარება და პირდაპირი მათი  
მოვალეობაა: წირვა-ლოცვა, გალობა და  
ღვთისადმი ღაღადი?! ამ მხრით რამ სამსახურს  
უწევს ქვეყანას მონასტრები? დღეს, მათში  
წირვა-ლოცვის სიმშვენიერე გამოიხატება  
შემდეგში: მონასტრის კრებული ყოველ შუა  
ღამისას რეკენ ზარებს, შევლენ ეკლესიაში,  
ერთი მორიგე დადგება საწიგნესთან, ბუტბუ-  
ტებს ლოცვას მოწყენილიათ და სხვები მიმ-  
ჯდარი არიან იქა აქ კუთხეში; სთვლებთ

\*) იხ. შინ. საქმ. № 16

დამჯდართ და რაღაც ინსტიკტით ხვდებიან ლოცვაში უსაქიროეს ადგილს თვალები გაახილონ და პირჯვარი იწერონ; ლოცვის გათავების შემდეგ ზმორვით მოდიან კელლინში. აი მოკლეთ და გარკვევით საერო, საქვეყნო მოღვაწეობა მონასტრების ძმათა. დღეს ჩვენს მონასტრებში მკვდარია სიცოცხლე; ძველებური აღარც კითხვაა და გალობა მაინც სულ არ არაა არსად. ამას წინეთ გელათის მონასტერში მოვისმინე წირვა და მართალი უნდა მოგახსენოთ, სასოებაზე მოსვლის მაგიერ სულ ჩამშხამდა! მე გალობაზე მოგახსენებთ. წინეთაც მომისმენია ჯაკ გალობა, მაგრამ წირვის წესს გვარიანათ გალობდენ ჩვენებურათ. ამ დღეს კი რაც მოვისმინე არსად მაგნაირი გალობა მე არ გამოგონია. საქმე იმაში გახლავთ, რომ არც ჩვენებურია და არც სხვისებური... ჩვენში ორ კილოს გალობას გალობენ: იმერულს და ქართლ-კახურს. ამ გალობას კი, არც ერის ნატამალიც არ ეცხობ. ყველაზე უფრო იმან გამაკვირა, რომ მ. ნ. არქიმანდრიტის სმენა როგორ ითმენს ამას, როგორც იმერული გალობის კარგათ მკოდნის! მაგრამ, შეიძლება ფიქრობს: გადაგვარებულ ხალხს, გადაგვარებული რამ რომ არ მოვასმენინოთ, შეიძლება მლოცველები დაგვიფრთხოსო... გელათი წინეთ გალობის ბუდე იყო. როგორც ვიცით, ჩვენი სახელოვანი გალობლები, განსვენებულნი: ანტონ ღუმბაძე, სინო კანდელაკი, დავით ჩხარელი (შთაძე) და სხვა საუკეთესო გალობლები გელათში იყვენ გაზდილი. დღეს რასა ვხედავთ! დღევანდელს ჩვენს მონასტრებში, მარტო მამაპაპათაგან აღნაგი კედლები თუ მოგვიზიდავს თორემ სხვა აღარაფელი. რატომ არ გაისმის მონასტრებში ძველებურათ კანანარზით გალობის ლაღადი და ჭლვთის დიდება?! ბერებს მაინც ხომ არ ეთქმის ზოგიერთ მღვდლებით: გალობის მიზეზით წირვა-ლოცვა გაგვიგრძელდებო! რატომ არ ზრუნვენ წინამძღვრები, რომ მოაწყონ საქმე, ისე, რომ გალობით სრულდებოდეს, არ მარტო წირვის წესი, არამედ შაბათ კვირის რვა ხმათა საგალობელი, დღესასწაულების და დიდმარხვის

ლოცვებიც! მარა სამწუხაროთ, მარტო წირვის წესიც არ იციან მონასტრებში.

რა კი საზოგადოთ ასე მიიღია გალობის მკოდნე, ფასი და მნიშვნელობა დაუკარგეს, დღეს ჩვენში გალობელს უძახიან ყველას, ვისაც ასე თუ ისე წირვის წესის თქმა შეუძლია. რა კი ამ სახელწოდებას ღებულობენ, ისინიც ამაყობენ და თავი გალობლათ მიაჩნიათ, თუმცა მარტო წირვის გალობის გარდა არაფელი არ იციან. წინეთ ასე არ იყო; გალობელს მას უწოდებდენ ვინც მართლა გალობა იცოდა. ეს ცოდნა წიგნებით შამოისაზღვრებდა. ე. ი. ვინაც იცოდა გალობით: პარაკლისი, სადღესასწაულო, მარხვანი და ზადიკი. ას გალობაზე მეტი მარტო ჟამში იქნება და ეს უკანასკნელი მაინც არ უნდა იცოდეს მან, ვისაც გალობელს უძახიან დღეს?! წირვის წესი მარტო რა არის? წირვის გალობა სულ 15 ოდე გალობის მეტი არ არის და სხვას არავინ არ სწავლობს და არც ესაქიროება, რადგან თვითონ შეთითხნის თავის კჳუაზე და იტყვის თუ ვინმემ დაავალა რომელიმე გალობის თქმა. ამგვარათ ახლანდელი ქართული გალობელი ყველა სრული გალობელია, ყოყობენ და ან კი რათ არ იყოყობებს! ვინ თხოვს გალობის ცოდნას? ახლანდელი გალობელი სრული ბატონია თავის საქმეში. ყოველს საგან ყავს „კანტროლი“ და გალობას არა! ვისაც როგორ უნდა ისე ასწავლის თითო ოროლა ნოტის ფეხის გაკეთება თუ იცის და მასთან ხუთი ხაზი, მორჩა და გათავდა, სრული კომპოზიტორია! შეთხზავს, ასწავლის მოწაფეებს, გალობს და თავი მოსწონს, რომ სრული და მასთან დამოუკიდებელი გალობელია. აირია მონასტერიო, რომ იტყვიან, მე მგონია ამას ჰქვიან! რაც ჩვენს სასწავლებლებში ქართული გალობის მასწავლებლებია, ერთათ, რომ შეყაროთ და დაავალოთ: აბა იგალობეთო, თქვენი ცოდნა მკოდნეს თუ იმათ გალობას თავი მოუყარონ. მათგან ნასწავლი მოწაფეებიც ისე გახლავთ, ერთი მეორესთან ვერ იტყვიან, რადგან ყველა თავისებურათ შეთხზულ გალობას ასწავლიან, ჩვენს

დროს ასე არ გახლდათ: იმერეთ-გურია სამეგრელოში ვისგანაც უნდა გესწავლა გალობას სულ ერთი იყო. გალობლებს, თუ გინდთავის დღეში არ გენახა ერთმანეთი, პირველ შეხვედრაზე იტყოდით მწყობრათ. ეს რომ ასე იყო, ორიოდ მაგალითს მოგახსენებთ: მე, თქვენი მორჩილი, მეგრელიის ეპისკოპოსის კრებულში ვიყავი სამსახურში. გალობა გურიაში მქონდა ნასწავლი; ჩემს პირველ მისვლაზე მარტვილში, პეტრეპავლობის დღესასწაული შეხვდა. იქაური გალობლები: ქალაგნიძე და გეგეკორები მწუხრს რომ იწყებდნენ მაშინ გავიკანი; შვევით ეკლესიაში; შემობრძანდა ყოვლად სამღვდლო და დიწყეს ლოცვა ღამისთევით. მთელი მწუხრი და ცისკრის საგალობელი კანანარხით ვიგალობეთ (ძილისპირ გადასათქმელები) თუმცა ერთად არაოდეს გვითქვამს, მარა შეუფერხებლათ ვთქვით ყველაფერი. ერთხელ კიდევ განსვენებულ გაბრიელ ეპისკოპოსთან მივედი საფერისცვალებით რაღაც საქმისთვის გელათში (აქ საზაფხულოთ-ბრძანდებოდა), მიბრძანა ერთი გალობელი ავთ გამიხდა და შენ დარჩი, ხვალ წირვა მიწდაო. დავრჩი; მოვიდნენ გალობლები ნ. მემარიაშვილი და ი. წერეთელი. ამათ ვიცნობდი, წირვის წესი ბევჯერ გვითქვამს ერთათ, მაგრამ ფერისცვალების დღესასწაულის გალობები კი არაოდეს არ გვითქვამს ერთათ. ამ დღის მწუხრი და ცისკარი: სამწუხრო დასდებლები და საცისკრო სძლისპირები ერთათ გაზრდილებივით ვთქვით. ეს ორი მაგალითი იმიტომ ვახსენე, რომ ასე იყო წინეთ და ასე უნდა იყოს ახლაც, რომ ქართული გალობის მკოდნე სადაური ნასწავლიც უნდა ქონდეს მის, ერთს მეორესან უნდა შეეწლოს თქმა. ასე მიუცილებელი საქიროა საზოგადო კილო.

(შემდეგი იქნება)

მღ. რ. ხუნდაძე.



### უფლის ჯვარის ღურსმნები.

(რუსულიდან).

როგორც გადმოცემა მოგვითხრობს, ჩვენ დრომდი მოაღწია უფლის ჯვრის სამმა ღურსმანმა, ეველა ისინი დაცული არიან ევროპაში, როგორც უდადესი სიწმიდე: ზარიზში — დუთის მშობლის საკრებულო ტაძარში; რომში წმ. იერუსალიმის ჯვრის ბაზილიკაში და მისკოვში — მიძინების დიდ საკრებულო ტაძარში. მეათხე ღურსმანი, როგორც მოგვითხრობს ჩვენამდი მისული ზუზირკადმოცემა, დედოფალმა წმ. ელენამ, გადავლო ზღვაში, რომ დააცხრას მისი შემადრუხებელი ქარიშხალი და ზღვის დეფა. მიდნის მახლობლად, მენცაში შენახულია რკინის გვირგვინი, რომელშიაც ვითამც ჩასმულია უფლის ჯვარის ერთი ღურსმანი, მაგრამ რკინის ნაკერი, რომელიც ამ ღურსმანს წარმოადგენს, ბევრით განსხვავდება იმ ღურსმნებიდან, რომელნიც დაცულ არიან ზარიზში, რომში და მისკოვში.

ზარიზის საკრებულო ტაძრის ღურსმანს აქვს სიგრძე 90 მილიმეტრი; თავი (ქუდი) არ აქვს და მისი უსწორ მასწორო წვერი უჩებდად დარჩენილია. რომში მეოფე წმ. იერუსალიმის ჯვრის ბაზილიკის ღურსმანს აქვს სიგრძე 12 სანტიმეტრი და სისქე 8 1/2 მილიმეტრი; ღურსმანს თავ დაფარულია ამდრმაგებულ ქუდით, რომლის ფსკერზე მიჭედლია ღურსმანის ტახა.

მისკოვის მიძინების დიდ საკრებულო ტაძრის ღურსმანი ცოტადნიუ მოდუნულია, ქუდი აქვს უსწორ მასწორ ფორმის, სიგრძე თათქმის სამ გოკამდე აქვს; ღურსმანის ბოლო ჩღუნგია! ამიტომ რომ ნაწილი მისი გადახერხილია. (ეს ნაწილი ახლა ინახება საქართველოში).

გარემოებანი, რომელთა გამო ეს ღურსმანი გაჩნდა მიძინების დიდ საკრებულო ტაძრის სიწმიანდეთა რიცხვთა შორის, ეკუთნი არიან: იმპერატორმა კონსტანტინე დიდმა აჩუქა საქართველოს მეფეს შირიანს მაცხოვრის ჯვრის ერთი ღურსმანთაგანი, რომელნიც იერუსალიმიდან მოატანა დედოფალმა ელენამ იმ დროს, როცა შირიანმა მიიღო ქრისტიან სარწმუნოება და სწავლა. ეს ღურსმანი ინახებოდა საქართველოში რაცდენამე ასი

წელიწადი. 1686 წელს საქართველოს მეფე არხილ ვახტანგის ძე გადაესახლა მოსკოვში და მიიტანა იქ, როგორც მოწიწებით თავუანის სიციველი წინაპართა საკუთრება, მაცხოვრის ჯვრის ღურსმანიც. ოცდა ათი წლის იქ მუთფობის შემდგომ ეს სიწმიდე დაბრუნებულ იქმნა უკანვე საქართველოში, მაგრამ იმპერატორმა პეტრე I წინააღმდეგ ეგეთ დანაკარგს და ღურსმანი გზიდან — კახიანიდან დაბრუნებულ იქმნა ბელაგაშენში (მოსკოვში) და შეტანილ იქმნა შესასახავად ღვთის მშობლის ტაძარში.

ღურსმანთან ერთად ტაძარში გაგზავნილ იქმნა ძვირფასი ოქროს უთაი, რამულიც, როგორც მოწიწებას მასევე ასრულები ქართული წარწერა, გაკეთებული იყო საქართველოს მეფის, რუსუდანის ძის, დავითის მიერ, რამულიც შეფუთდა 1237 წლიდან 1273 წლამდე. (СВѢТОЧЬ № 4, 1910 г, გვერ. 353).

არხ. ნესტორ.

X მკელი მოწილობა ქრისტეს გარეგან შესვლად დულობასე.

ევროპის ერთ წიგნთ საცავში არის ხელთ ნაწერი სახარება მეთუთხმეტე საუკუნისა. ამ სახარებას აქვს ზედ წარწერა შემდგომი შინაარსისა: საჩუმუნოდ ამბობენ, რომ ოქტავ კეისრის დროს, ურიასტანის პოკონსულმა, პუბლი ლენტულმა, იროდი მეფის დროს მისწერა რომის სენატორებს შემდგომი წერილი: ამ ეამად იქ გამოხინდა, და ახლაც კიდევ ცოცხალია, კაცი ფრიად კეთილ მოქმედი, რომელსაც სახელად ჰქვია იესო. ხალხი უწოდებს მას დიდ წინასწარმეტყველად, ხოლო მოწაფენი მისნი-ღვთის ძედ. ის აღადგინებს მკვდრებს, კურნებს ყოველთა სენთა და უძღურებათა. ის არის მაღალი მოხდენილი ტანისა. შეხედულება მსა დიდებულია და გამომეტყველი, ასე რომ, როცა მას უტყერი, არ შეიძლება, არ შეეიყვარდეს იგი და მასთან ერთად არ გეშინოდეს მიჯი. თმა თავზე ყურძნის ფრად მღელვარე, ყურებაში

არა მოეღვარე და არა მწყობრად, ყურებიდან დაწებული მხრებადმდე ნათლად მღელვარე, დაშვებული აქვს მხრებს ქვემოლ; თმა თავზე ორად გაყოფილი აქვს ნახარვევლების ჩვეულებისაძებრ. შუბლი აქვს სწორე და სუფთა; პირის სახეზე არავითარი წინწალი-ნიშანი ანუ ხალი არა აქვს; ლოყები აქვს მოწითლო ვარდისფერი. შეხედულობა მშვენიერი და საამო. ცხვირ-პირი სწორი. წვერი აქვს საკმაოდ სქელი (ხშირი) და თავის თმის ფერი, ნიკაპიდან განიყოფება ორად. თვალეები აქვს ცისფერი და მეტად ელვარე. სამღურავის და ყვედრების დროს საშიშია; დარიგების და შეგონების დროს აღერსიანი და ტკბილად შემყრელია. შესახედაობა საკვირლად საამო და მასთან ერთად საპატიო. არავის არაოდეს არ უნახავს იგი მომცინარე, მტირალი კი უნახავთ. რანი მაღალი აქვს, ხელეები გრძელი და სწორი; მხრები სრული უნაკლულო. საუბრობს დალაგებით და მძიმედ, მაგრამ ის ცოტას ლაპარაკობს. ის ყოველ კაცზე უმშვენიერესია“.

ეს წერილი ჩვენთვის ყოველ შემთხვევაში საპატივოა იმ მხრით, რომ წარმოგვიდგენს იესო ქრისტეზე იმ დროის აზრებს, როცა ის შედგენილია; განსაკუთრებით შესანიშნავია მით, რომ ის აღგვიწერს იესო ქრისტეს გარეგან შეხედულებას სრულიად მსგავსად ქრისტეს იმ უუძველეს გამოხატულებისა, რომელიც დაცულია რომის კატაკომბში წმ. კალისტას ეკლესიაში“.

არხ. ნესტორ.

კეთილი საქმი მტრებსაც მივობრამ ბად ხდის.

(მწ. მღვდელ-მოწამის ანთიმოსის ცხოვრებადგან) თარგმანი. („Русский инок № 4).

იმ დროს, როდესაც მეფე მაქსიმიალე სასტაკად სდ ვხიდა ქრისტესს, ქ. ხაკომიდაში კვიციანი-საბდა წმად ანთიმოსი, იგი სცხოვრებდა ქალაქის ახლოს საფ. სემანაში და თვისის სწავლა-მოდერე

ბით არა თუ ამხნევებდა დევნულ, სწავლებლად გამზადებულ ქრისტიანებს, არამედ მდევნულ გერმანოკლასიკოსებსაც აეუბნებდა მართოდ გზასზე.

გაიგო თუ არა ეს გარემოება წმიდა ანთიმოსისა, მეუფემ გაგზავნა სემანში ოცი მხედარი მის დასაჭერად და წარსადგენათ მასთან სწამებულად. მიუხედავად თუ არა სოფ. სემანს, მხედრებს წინ შეეკა წმიდა ანთიმოსი, რომელსაც უთხრეს: „გვითხარი, ჩემო სოფელს, სად სცხვრებებს აქ ანთიმოსი, ქრისტიანეთა მოძღვარი? მეუფემ ჩვენ გაგზავნა, რათა შევიპყროთ იგი.“

წმიდა ანთიმოსი დიდი ხნიდან მოუთმენლად ელდა იმ წუთს, ოდეს იქნებოდა დეთისკან მიწადება მისი სამაწყალოთ სარწმუნოებისათვის. ამიტომ იგი შეხვდა მხედრებს, როგორც სასურველ მოტყულებს და რომ წინასწარ არ აუშოთათობა იგინი, დრომდის დაუფარა მათ თავისი სახელი და უბასუხა: „მე ვიცი სად არის ანთიმოსი და მოგცემთ მას თქვენ, ხოლო ჯერ შემობრძნდით ჩემ სახელში და ცოტა დაიფრეთ“. მხედრები მიიყვანა თავის სახელში წმიდა ანთიმოსმა, სიუვარულით მიიღო ისინი და მართლაც სადილო. შემდეგ კი უთხრა მათ: „მე ის ვარ, ვისაც თქვენ ეძიებთ. მე ვარ ანთიმოსი წამიყვანეთ და მიმიყვანეთ მეუფესთან“.

გაიკონეს თუ არა ეს, მხედრები, განცვიფრდნენ და აშოთდნენ! მათ ვერც კი გაუდგეს სახეზე შეეხებათ ჭაღარა მოხუცისათვის, რომელმაც დიდი სიუვარულით და სიხარულით მიიღო და პეტროს სცა მათ. იცოდნენ რა, თუ რა დღე დადგებოდა მას მეუფესთან, მხედრებმა ურჩიეს წმ ანთიმოსს: „მალე სადმე მაიძალე, ჩვენ კი ვეტყვით მეუფეს, უკვე მოვსძებნეთ უველა კუთხეებში და ვერსად ნიკომედიამი ანთიმოსი ვერ ვნახეთ“.

მაგრამ წმიდა მოხუცს კმინდად დეთის მცნების დარღვევის უფროს ვიდრე წამებისა და სიკვდილისა და სურდა ვნეუდიყო ქრისტიანთათვის. ამიტომ უნდოდა ესარგებებოდა მხედრების მდგომარეობით და თვითონ სეებით გაჭედა მათ მეუფესთან სწამებულად. გაგზავნა იგი ესაუბრა მხედრებს იესო ქრისტეზე და მის მოტანად ცხვენებზე.

თავისი სიტყვის დეთისა დაეცა ანთიმოსის დიდსულოვნობით მოხიბლულ მხედრების გუფზე და მოიტანა ხუთივე. მხედრებმა იწამეს ქრისტე და არ შეუშინდნენ

საშინელა სიკვდილის მოლოდინს. ნათლის დება გაგზავნა მიიღეს და ასე სულთს საცხონებლად საუბრით ახლად მონათლულ მხედრებით წმიდა ანთიმოსი წარსდგა წინაშე მეუფის სამსჯავროთის სწამებულად.

მლ. მონაზონი ილარიონი.

ზომთიანი სახლი კომპრაში.

მოგვყავს „გაზეთი კაპეია“-დგან საინტერესო ცნობა, რომელიც დაბეჭდილია ბელგიის „ურნალ. ფსიხიატრიაში“ და გადმობეჭდილია სპირიტუალისტურ ჟურ. „რებუსში“. ეს უცნაური ამბავი მოხდა პორტუგალიის ქალაქ კომპრაში.

ამბის დამსწრენი არიან ახალგაზდა იურისტი, გომეც კრისტო, მისი ცოლი, ბერნადეტა და მათი მეგობარი სამართლის კანდიდატი, გომეც პორტუგალი.

გომეც კრისტო თავს ახალგაზდა ცოლით სცხოვრობდა სოფლის ერთ კოხტა სახლში, სტკებოდა ოჯახური ბედნიერებით და ფიქრობდა, ცოლიც ასეთივე ბედნიერი იყო. მაგრამ სასტიკათ სცდებოდა. ღამლამით ბერნადეტას ემთხვეოდა გაუგებარი და შეამაძრუწუნებელი ამბები. მაშინ, როცა მის ქმარს ტკბილად ეძინა, სახლში დაფოთარობდნენ, როგორც მას ეგონა, ბოროტი სულები. იმას ცხადათ ესმოდა, თუ როგორ ვილაც აღებდა და ხურავდა კარს, არახუნებდა ფანჯარაში, დაიარებოდა იატაკზე, იცინოდა კიდევ, ყვიროდა, კვნესოდა. ბერნადეტას ვერ გაუბედნა, რომ ქმრისთვის ეთქვა ეს ამბავი. მოსამახურებელიც არიფერს ღამარაკობდნენ და ბერნადეტას ეგონა, რომ ეს ამბები მართო მის თავზე იყო.

ერთ მშვენიერ დღეს კრისტოს ესტუმრა მისი მეგობარი გომეც პორტუგალი. იმ ღამეს დიდი ხანს შერჩენ ვახშამს, გვარიანად დალიეს და ღამის პირველ საათზე წავლწამოვიდნენ ოთახებში დასაძინებლად. შევიდა თუარა თავის ოთახში, გომეცმა აანთო სანთელი და ტანის-

სამოსის ხდა დაიწყო. როგორი იყო მისი გა-  
ოკება, როცა სანთელი უტერად ჩაქრა და  
ოთახში ადგა ერთი უშველგებელი ხმაურობა  
და რიხინი. ვიღაც ფანჯარაში ურახუნებდა,  
ღარბოდა და შპალერს ხევდა კედელზე. მან  
ჩაიხედა ძირს ბ.ღში და დაიღარღალა, მაგრამ  
ხმა არავინ გამოისცა. შემდეგ ხელახლა ანთო  
სანთელი და დაათვალიერა ოთახი. ვერაფერი  
საქვო ვერ იპოვა. ყველაფერი თავთავის ად-  
გილზე იდგა რიგზე. მაგრამ ჩააქრო თუარა  
სანთელი, ხელახლა ასტყდა კორიანტელი  
განათა—ჩამოვარდა სიჩუმე. გომეცმა ეს კარ-  
გად შეამჩნია. დილას მან ყველაფერი უამგო  
სახლის პატრონებს. მაშინ ბერნადეტამაც გა-  
ბედა და ყველაფერი სთქვა. გადასწყვიტეს  
ღარაჯობა რომ დაეჭირათ შფოთის ამტენი  
გამოითხოვეს სამი ცოლიციელი.

როცა დაღამდა მთელი სახლი გადაბ-  
რუნეს, მაგრამ ვერავინ ნახეს. ერთი პოლი-  
ციელი სახლის შემოსასვლელ კარებთან და-  
ყენეს ქუჩაში, ორი სხვა სახლში, სადაც თი-  
თონვე აირჩიეს საღარაჯო ადგილები.

ჩამოვარდა სიჩუმე. დათქმულ დროს  
ერთბაშად ყველა ლამზები და სანთლები ჩაა.  
ქრეს და ჰოი, საკვირვილებავ!—ასტყდა ხმა-  
ურობა. ვიღაც შემოსავალ კარებს არახუნებ-  
და. კრისტომ საქაროთ გაალო იგი. არავინ  
არ იყო. გაიხედა გარეთ. ამ დროს კარი და-  
იხურა და ბოქლომში გასაღები გადბრუნდა.  
პოლიციელს, რომელიც გარეთ იდგა, არაფე-  
რი უნახავს და არც გაუგონია, რაც სახლში  
ხდებოდა. შესცვალეს საღარაჯო ადგილები.  
ეს სახლში შევიდა, ხოლო მისი ამხანაგი ქიშ-  
კრებთან დადგა. კიდევ სიბნელე და კიდევ  
ხმაურობა. კრისტომ სპიჩკა გაჰკრა. მაგრამ  
სანთელი ვიღამაც ჩააქრო და მას მოესმა სი-  
ცილი და შემდეგ იგრძნო ატრანელი ტკივი-  
ლი. ვიღაცამ მას ყბაში გაარტყა და ისეთი  
გრძნობა გამოიწვია, თითქოს ვიღაცამ ხელით  
ტყავი ააძლო. დაიწყო კიდევ ძებნა, მაგრამ  
ვერაფერი ნახეს. როცა სანთელი შევიდნენ იმ  
ოთახში, სადაც ერთი პოლიციელითაგანი იდგა,  
ნახეს, რომ იგი სდგას და გოფივით იქნეს

ლექურს ირგვლივ. ავეჯეულება და სარკეები  
ნაკუწებად ექცია. აღმოჩნდა, რომ იგი ქკუა-  
ზე შემცდარიყო იმავე ღამეს თავი დაანებს  
შფოთიან სახლს.

ამ ანბის სინამდვილე სრულიად დამოწმე-  
ბული, მაგრამ ვერავინ ვერ შესძლო ამ  
უცნაური ამბის ახსნა.

„რბზსი“

პროვინცია:

ს. ნიგოზეთი (შორაპნის მაზრა).

ეს სოფელი იმუთება დ. ჭიათურადგან თო-  
რმეტი ვერსის მანძილზე. იგი ნაწილია შერევის  
სასოფლო საზოგადოებისა. მცხოვრებლები უკანას-  
კნელში ითვლებს რვას კომლზე მეტი. არა მგონია,  
რომ სადმე ზემო იმერეთში ამაზე უფრო დაქ-  
ვეითებული მატერიალურად რომელიმე სოფლის  
საზოგადოება მოიხვედრეს. შიზენი ასეთი დაქვე-  
ითებისა არის უმთავრესად სხსნა-სათესი მიწის  
სივიწროვე, წლევიანდელი მკუსავლიანი წელიწადი  
და ჭიათურაში მრეწველობის შეჩერება. უველა  
ამაებს ზედ დაერთო კიდევ ძველი ნელომეები და  
სხვს არა ჩვეულებრივა გადასახადები. ხაღხი სასო-  
წარვეთილებს მისცემია, აღარ იტის რაკორ გაუ-  
ძლოს ამდენ გაჭირვებას. მეტ ნაწილს მცხოვრე-  
ბლებისას სიმინდი იანვარამდისაც არ მოჭეოდათ,  
ღვინოს აჭური კაცი შემოდგომაზედაც თუ გასინ-  
ჯავს, რადგან შეგუნახება აქეთ სრულებით არ არის  
გავრცელებული.


მიუხედავად ასეთი მატერიალური სიღუხჭირისა  
აჭური ხაღხი სწავლა-განათლებას სკამა უურადლებას  
აქცევს. ამ საზოგადოებაში არსებობს ორი სამინის-  
ტო სასწავლებელი: ერთკლასიანი სოფელ შერევიში  
და ორკლასიანი სოფელ ნიგოზეთში. უკანასკნელი  
მოთაყსებულია მშენიერ ქვის შენობაში, რომელიც  
საზოგადოებამ შეიძინა 9000 მანეთად. შევირდები  
ამ სასწავლებელში ორასამდეა. შევირდების ესეთი  
რიცხვი სოფლის სასწავლებელში მოწმობს, რომ  
იქ სწავლის საქმე უკრთავნად არის დაეყენებული.  
სამართლე მოითხოვს ადგინაშნით, რომ ამ სასწა-

ვლებლის გაუმჯობესებისათვის წარსულ წელს ბ. გელაშვილის შრომით და შეამდგომლობით მთავრობამ დაუნიშნა ამ სასწავლებელს მესამე მასწავლებელი ხაზინის ჯამაგირით. ბ. გელაშვილს ეავს შედგენილი მშენებელი ხორთ, და მით საზოგადოებას ეკლესიაში სიარულს აუფარებს. 9 მარტს ეს სასწავლებელი ინახულა მეორე რაიონის ინსპექტორმა ბ. სულაგოვმა, რომელიც მოწაფეების ცოდნით კმაყოფილი დარჩა. მან მოითხოვა, რომ რუსული ენა ძველებურად იწეობდეს ზირველ განყოფილებაში.

ბათ უნდა აღვიაროთ, რომ ღვინის საშუალებით კაცი სპობს სასმელ-საქმელში მავნებელ ნაწილებს (H. Илл. № 15)

მეცნიერული გამოკვლევით ასეთია ღვინის მნიშვნელობა და სასურველია ყველამ გონიერად ისარგებლოს ღვინით და უზომო ხმარებით ეს წამალი საწამლადაც არ გადაქციოს.

**„ახალი მასწავლებელი“.**



**ღვინო, როგორც წამალი.**

მარგებელი სასმელია ღვინო თუ მავნებელი ეს დღემდე გამოურკვეველია. ექიმების აზრი ამ საკითხის შესახებ სხვა და სხვანაირია. ეხლა ერთი საინტერესო გამოკვლევა გამოცხადებული შევიცარიის ერთ ქიმიურ განთეში ღვინის ზარგებლობის შესახებ.

ყურადღება მიუქცევით იმ გარემოებისათვის რომ ყველაფერ ხილს და განსაკუთრებით ნესეს, მარწყვს და ხენდროს უფრო ადვილათ ინელებს კაცი, თუ ღვინოს ჩააყოლებს ქამის დროს. აგრეთვე ცუდი სასმელი წყალი გაუმჯობესდება ხოლმე, როცა ცოტათ მიინც ღვინოს შეურევინ. ეს გარემოება გამოურკვევით და აღმოჩენილა, რომ ღვინო უცებ ჰკლავს წყალში და აგრეთვე ხილშიაც მავნებელ ჰიებს (ბაქტერიებს).

შვეიცარიაში უცდიათ და აღმოჩენილა რომ წყალი თანდათან იწმინდება ჩასახული მავნე ჰიებისაგან, როცა ღვინოს შეურევინ. ორი სამი საათის შემდეგ ღვინო გარეულ წყალში თურმე სულ ისპობა მავნე ჰიებს ნასახი და ამგვარი წყალი კი სრულიათ უვნებელია კაცისათვის. ამ გვართ ქეშმარიტე-

**უდიდესი სასტუმრო კვეყანაზე.**

ამერიკაში, ქალაქ ნიუ-იორკში რამოდენიმე მდიდარი პირებისაგან შემდგარ ამხანაგობას დაუწყია ერთი უდიდესი სასტუმროს აშენება, რომელიც ამა წლის აგვისტოში მოთავდება კიდევ.

ახალ შენობას დიდი ადგილი მოსდომია, ეს იქიდანაც სჩანს, რომ იმ ადგილზე სადაც დღეს სასტუმრო შენდება, აქამდე ბევრი შენობა ყოფილა და ამ შენობების წლიური ქირა თურმე 15 მილიონ მანეთს უდრიდა. ახალ შენობაში იქნება ორი თეატრი სალით შეერთებული, შუაში იქნება შუშის ზალა, სადაც გაიმართება სასადილო 6,000 კაცისათვის. სასადილოს ზევით გუმბათი ექნება. სასტუმროში იქნება საკუთარი მუზიკა განზრახ შესაფერათ მოწყობილი. სამზარეულოში გამგეობა ათი მზარეულის ხელში იქნება და მათ ბევრი თანაშემწეები ეყოლებათ. შენობაში ზაფხულობით წარმოდგენები გაიმართება და ზამთრობით სხვა გასართობები. (იქვე).

სამწუხაროა, რომ ფულიან ხალხს სხვა რამეს გაკეთება ვერ მოუფიქრებია და ისევ სასადილო გასართობები გამოურჩევია.

ბ. ჯ.



ბატონ დიმიტრას მამიდაშვილს.

წა(ვ)უკითხოთ, და(ვ)უწეროთ, და(ვ)უთხოთ, და(ვ)ურეცხოთ, და(ვ)უხაზოთ და სხვა, — ამ შემთხვევებში ჩასართი უნი გვიჩვენებს იმას, რომ მოქმედება სხვისთვის სწარმოებს. წავიკითხოთ, დავწეროთ, დავთხოთ, დავრეცხოთ, — აქ კი უფრო ის გამოიხატება, რომ მოქმედება ჩვენთვის სწარმოებს.

ლოკვა ვედრება ღვთისადმი საჭიროა, უმაღრესად, ჩვენთვისავე, სახელდობრ იმისთვის, რომ ჩვენ ნათლად წარმოვიდგინოთ ჩვენი უღირსობა, სისაწყლევ და შევიგნოთ აუცილებლობა ღვთისგან დამოკიდებულობისა; საჭიროა იმისთვის, რომ ჩვენი სული განსვეტავდეს, ამაღლდეს და შეუერთდეს უფალსა და არა იმისთვის, რომ გავაგებინოთ ღვთისა ჩვენი საჭიროებანი და ან მოვუღობოთ მას გული: ღმერთმა ყოველივე უწყის, და მასში თავმოყვარეობასა და პატივისმყოფარეობას ადგილი არა აქვს. ამიტომ ჩვენ ვამჯობინებთ „აღვასრულოთ ვედრება ჩვენი ღვთისა მიმართ“.

უფლისა მიმართ ვილოცოთ, და არა უფალსა ვილოცოთ.

ეპისკოპოსსა დაჯიჲთ.

**მადლოვის გამოცხადება.**

იმერეთის ეპარქიის, საქარის წმ. გიორგის ეკლესიის კრებული მადლოვას უცხადებს ქ. ქ. სიმონ კობახიძის მკერძის ეკატერინა ქათამაძის ასულს, რომელმაც ხსენებულ ეკლესიას შემოსწირა ერთი წყვილი ბაირადი, ღირებულები 20 მ. და გრიგოლ ჭიჭინაძის მეუღლას ედუკიას, რომელმაც იმავე ეკლესიას შესწირა შანდალი, ღირებული 5 მან.

Типография Кутаисскаго религиозно-просвѣтительнаго „братства“ Тифлисская, домъ Киришева

**ОБЪЯВЛЕНИЕ.**

**ХУДОЖЕСТВЕННАЯ И ИКОНОПИСНАЯ МАСТЕРСКАЯ  
А. И. ЖИРЯКОВА**

Въ гор. Кутаисѣ

принимаетъ заказы на иконы и стѣнную живопись всякой художественной работы по весьма умереннымъ цѣнамъ.

Имѣются одобрителныя отзывы отъ преосвящ. ЛЕОНИДА, настоятелей монастырей и соборовъ.

**განცხადება.**

**„ზინაური საქმეების რედაქციაში“**

იყიდება შემდეგი წიგნაკები:

- 1, წაგნი წიგნთა ფასი — — 5 კაპ.
- 2, სწამთ თუ არა მეცნიერებს ღვთის არსებობა — — — 5 კაპ.
- 3, ქრისტე ღმერთია? — — 10 კაპ.
- 4, ქრისტიანობა ბებელის ლაბორატორიაში — — — 10 კაპ.
- 5, ათეიზმი, მისი წარმოშობა და გავლენა მეცნიერებასა და ცხოვრებაზე — — — 10 კაპ.

ვინც ერთად ოც ცალს ან მეტს დაიბარებს მანეთზე აბაზი დაეთმობა.



რედაქტორი, მღვდელი **სიმონ მამელიძე**.  
გამომცემელი **იოსებ ლეჟავა**